ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4422473

ნომერი: AR1667567

თარიღი : 12.03.2019

გაცემის თარიღი : 20.03.2019

გაცნობის თარიღი : 20.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 61 , (ნაკვ 5/33);

დამკვეთი-განმცხადებელი
- რიმა ლომაური პ/ნ 01011018771
- ქ. თბილისი, რიონჰესის 6ა

ორგანიზაცია:
- ფრესკო შოპინგ ცენტრი კოდი: 406092570

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - კრწანისი, ქუჩა გორგასალი, #61, (ნაკვ 5/33), შპს „ფრესკო ნიუ სტანდარტს“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.18.06.005.033) I კლასის დროებითი (საძირკვლის არ მქონე, დაცვის ჯიხური) შენობა-ნაგებობების მშენებლობას 1 წლის ვადით.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.18.06.005.033, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882019053328 - 07/02/2019წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - კრწანისი, ქუჩა გორგასალი, #61, (ნაკვ 5/33), შპს „ფრესკო ნიუ სტანდარტს“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N 01.18.06.005.033) I კლასის დროებითი (საძირკვლის არ მქონე, დაცვის ჯიხური) შენობა-ნაგებობების მშენებლობის შესაძლებლობას 1 წლის ვადით. ამასთან გასათვალისწინებელია:

• შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

• საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარის და ფანჯრის მოწყობა, ან შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.

• სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.

• სამეზობლო საზღვრიდან 5.0 მეტრამდე მანძილზე ან საზოგადოებრივ საზღვრის მხარეს იმ შემთხვევაში, როდესაც ქუჩის სიგანე 5.0 მ-ზე ნაკლებია, წვადი სამშენებლო მასალები უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით.

• სამშენებლო მიწის ნაკვეთზე გამოკრული საინფორმაციო დაფა, ბანერი - საპროექტო შენობის ვიზუალიზაციით და შესაბამისი რეკვიზიტებით.

• ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

• სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

• აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.